

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სალომე ქურასბედიანი

საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის  
ხელშეწყობის და კონტროლის სრულყოფის გზები საქართველოში

სადოქტორო პროგრამა -ბიზნეს ადმინისტრირება

შიფრი 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი

2019 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში  
ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი  
ბიზნეს ადმინისტრირების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მედეა ჭელიძე

რეცენზენტები: -----

-----

დაცვა შედგება 2019 წლის ”-----” -----, ----- საათზე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების  
ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი VI,  
აუდიტორია ---

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,  
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი  
ასოცირებული პროფესორი ლია ბერიკაშვილი

## Resume

The dissertation thesis ‘The ways of improving control and supporting suppression of illegal income legalization in the bank system of Georgia’ deals with money laundering and actual problematic issues concerning with terrorism funding manifested in the bank system.

Actuality of the research is substantiated in the thesis; current condition of scientific work on the given topic is studied; scientific novelty, the purpose of the research, problems, the object, the subject, theoretical-methodological basis and the information base are expositioned; major results of the paper are manifested; practical importance of the research is shown. There are questions given and answered in the paper dealing with the origin of the problem, what is known about this problem, what caused the necessity of scientific research on the given problem, what alternative practical methods are worked out to solve the given problem and which one is used in the given thesis.

Actuality of the thesis is due to rising tendencies of money laundering, illegal incomes and terrorism funding problems existing together with the increasing development of the bank system in Georgia and, generally, in the world. For Georgian economics and bank system, as well as for the whole world, it is necessary to create defensive mechanism, sophistication of controlling methods and formation of the skill to adapt to the innovation.

The banks which suppress illegal incomes, have control mechanisms and antiterrorism politics in accordance with international politics, as a rule, is non-deficient, stable and have high level of reliability from customers and international partners. These relations play crucial role for the bank industry, that is why banks try to take into consideration requests and regulations established in this field.

Bank system supports movement of money masses, that is essential for existing the economics. Relatively, it is in the interests of the country government to defend safe, stable movement of the money masses.

To create perfect mechanism for fighting against illegal incomes and money laundering in the bank system is important not only for healthy functioning of the bank system, but also for establishing stable business environment of the country and providing support of decreasing of economics negative effects. Effective AML (Anti Money Laundering) programs and politics play a very important role in increasing work efficiency of investigating institutions.

The literature used in the dissertation thesis comprises the major sources, which, to our mind, give latest, actual and reliable information. From these sources we received main information, considering of which we established certain subjective opinions and conclusions. Deep analysis of the literature showed the list of research issues of the dissertation thesis, what problems exist around the topic, what are the ways of solving them and how effective they are. The main part of the dissertation thesis is discussed in the way to show the problems existing around the topic and availability of the information and what methods are used by modern world and Georgia to fight against the given problems.

In the first chapter of the dissertation thesis - ‘Legal and economic aspects of fighting against illegal income legalization (money laundering)’ - there are discussed the priorities of illegal income legalization (money laundering), major elements and legal basis, the ways of illegal income legalization (money laundering) with the help of the offshore financial centres, description of illegal income legalization (money laundering) as the process of economic relations, analysis of the problem and

economic aspects. With the discussion of the issues in the given chapter we tried to make general image on the notion of the research problem.

Chapter two- 'Analysis of current condition of fighting against illegal income legalization (money laundering) in the bank system and terrorism funding'- comprises the analysis of the international practice existing for fighting against illegal income legalization (money laundering) and terrorism funding, discussing current conditions and challenges of fighting against illegal income legalization (money laundering) in the bank system and terrorism funding in Georgia, prevention and suppression mechanisms and approaches of fighting against illegal income legalization (money laundering) in the bank system and terrorism funding. The second chapter of the dissertation thesis gives opportunity to compare the leading international experience with Georgian reality.

The third chapter –The ways of improving control of suppression of illegal income legalization (money laundering) in Georgia- completely mirrors the problems of implementing international control and current tasks on the offshore financial centres, evaluation of suppression support effectiveness of illegal income legalization (money laundering), government control implementing tendencies against illegal income legalization (money laundering) in Georgia is analysed and emphasized, recommendations are given on improving the ways of fighting against illegal income legalization (money laundering) in the bank system of Georgia.

The thesis comprises the research done by us, where using questionnaire method is used to gather and analyse responsibilities of the people working in the bank system, issues about how informed they are, the level of their connection to AML (Anti Money Laundering) department and other important issues. The second step of the research comprises measuring how informed the citizens are in accordance with the given issues, the purposes of the research, expected and final results.

In the conclusion the results of the dissertation thesis are summed up and exposed, real problematic issues are defined and practical results together with the recommendations are given.

### სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.** საბანკო სისტემა ნებისმიერ სახელმწიფოში წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს, რომელიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასა და სტაბილურობაზე, არამედ ქმნის ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ფონს.

საბანკო საქმიანობის გამართული და სწორი რეგულირება ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყნის საფინანსო სფეროს მდგრადობისა და სტაბილური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო საქმიანობის მნიშვნელობა და მისი კონტროლის აუცილებლობა განპირობებულია ასევე იმ როლით, რომელსაც ის ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის ტრანზაქციური დანახარჯების საერთო

დონის შემცირებასა და კაპიტალის გადინების პროცესის შეზღუდვაში.

სახელმწიფოს მიერ საბანკო სისტემის საქმიანობის რეგულირება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შესაბამისი თანმიმდევრული ქმედებების და საჭირო რეფორმების თანმიმდევრულ განხორციელებას, სამართლებრივი საკანონმდებლო აქტების დროული მიღების საფუძველზე საბანკო სისტემის განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბურობიდან გამომდინარე, დღევანდელ დღეს მეტად რთულია ეკონომიკის სათანადო კონტროლი, ლეგალური და არალეგალური საქმიანობის და შემოსავლების მკაფიო გამიჯვნა. ქვეყნების სპეციფიკიდან გამომდინარე, ტერორიზმის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებიც ასევე საკმაოდ აქტუალურია, რაც განაპირობებს შესაბამისი მაკონტროლებელი, საზედამხედველო და მარეგულირებელი ინსტიტუტების შექმნას და გამართულ ფუნქციონირებას. თითოეული ქვეყანა ამ მიმართულებით საკმაოდ მკაცრი სტანდარტებით და პროცედურებით ხელმძღვანელობს, რათა თავიდან იქნას აცილებული ჩრდილოვანი ეკონომიკის უარყოფითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობაზე ფა შემდგომ განვითარებაზე.

თანამედროვე პირობებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მრავალი ხერხი არსებობს, დაწყებული საბანკო ანგარიშებზე ფულადი სახსრების განთავსებით მათი შემდგომი გადარიცხვის მიზნით, დამთავრებული ძვირფასი ნივთების და უძრავი ქონების შეძენით. უკანონო ფინანსური სახსრები ასევე შეიძლება ბრუნავდეს მთელი რიგი რთული საერთაშორისო ფინანსური ოპერაციების განხორციელების გზით. ფულის გათეთრების სქემები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია, ხშირად იცვლება და შესაბამისად, დროის ნებისმიერი მომენტისთვის შეუძლებელია ფულის გათეთრების მეთოდებისა და მექანიზმების სრული და ცალსახა ჩამონათვალის განსაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში არ არსებობს ტერორიზმის ერთმნიშვნელოვანი განმარტება, საქართველოში, ისევე როგორც ყველა იმ

ქვეყანაში, რომელიც მიუერთდა გაერთიანებული ერების 1999 წლის „ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციას, ტერორიზმის დაფინანსების განმარტებისათვის გამოიყენება აღნიშნულ კონვენციაში მოცემული ტერორიზმის დაფინანსების განმარტება.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისგან განსხვავებით, ტერორიზმის დაფინანსების მიზნით შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც უკანონო, ისე კანონიერი შემოსავალი, რაც მეტად ართულებს ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების გამოვლენას. იარაღით უკანონო ვაჭრობა, ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვა, კორუფცია, კომპიუტერული მაქინაციები და სხვა სახის დანაშაულებები, როგორც წესი, დიდი მოგების მომტანია და, შესაბამისად, დიდი ოდენობის ფულადი სახსრები, რომლის ლეგალიზაცია, ანუ კანონიერ ფინანსურ და ქონებრივ სივრცეში გადატანა ხორციელდება, ერთი მხრივ, დიდ მნიშვნელობას იძენს თვით კრიმინალური წრეებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკას და ფინანსურ სისტემას.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს არალეგალური შემოსავლების მქონე და ტერორიზმის დაფინანსებაში მხილებული პირების საერთო ბაზები, რომელიც ყოველდღიურად განიცდის განახლებას და ცვლილებას. ამ ბაზებთან წვდომა აქვს თითოეული კონტროლსდაქვემდებარებული საფინანსო ორგანიზაციის შესაბამის განყოფილებას. თითოეული საფინანსო ინსტიტუტი ანგარიშვალდებულია ქვეყნის მაკონტროლებელი ორგანოს წინაშე, რომ გადაამოწმოს ნებისმიერი კლიენტი სათანადო ბაზაში, ასევე აკონტროლოს თითოეული საექვო ტრანზაქცია და გონივრულ ვადებში მიაწოდოს ინფორმაცია ფინანსური მონიტორინგის ან/და სხვა შესაბამის სამსახურს.

ბიზნეს პროცესების განვითარებამ და კაპიტალდაბანდებების გლობალურმა სისტემამ ხელი შეუწყო უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის და ფულის გათეთრების პროცესს. ეს პროცესი დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკის პირობებში მეტად აქტუალურია და ჩრდილოვანი ეკონომიკის

ხასიათს ატარებს. არალეგალურ შემოსავლებთან ბრძოლა თითოეული ქვეყნისთვის, დღითიდღე უფრო მნიშვნელოვანი და საერთაშორისო ხასიათის ხდება. კრიმინალური დაჯგუფებების მიერ არაკანონიერი გზით მოპოვებული კაპიტალი, მათ შორის, ოფშორული ზონების გავლით იგზავნება სხვადასხვა საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, თუნდაც ტერორისტული დაჯგუფებების დასაფინანსებლად. მიუხედავად საერთაშორისო სტანდარტებისა და ცალკეული ქვეყნების მიერ შემუშავებული მექანიზმებისა, მაინც ხერხდება კრიმინალების მიერ არალეგალური შემოსავლების წარმოშობის წყაროების შეცვლა სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით და საბოლოო ჯამში ფულის გათეთრება, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკას.

ფულის გათეთრებასთან ბრძოლა აქტიურად მიმდინარეობს მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის საქართველოშიც, თუმცა გარკვეული დოზით კორუფციის ნიშნები მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში ფიქსირდება. არალეგალურ ბიზნესში ფულის დაბანდება ასოცირდება ჭარბი მოგების მომტან ინვესტიციასთან და ავითარებს ჩრდილოვან ეკონომიკას. ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებისთვის განსაკუთრებით ხელშემწყობია ოფშორული ზონები, რომელიც ქმნის ყველა პირობას მსგავსი რისკის მქონე ბიზნესისთვის. სახელმწიფოების მხრიდან შემუშავებულია რიგი სანქციები აღნიშნული ფაქტების აღსაკვეთად, თუმცა უნდა ვაღიაროთ, ყოვლისმომცველი კონტროლის განხორციელება მეტად რთულია.

როგორც ცნობილია, არსებობს არალეგალურ შემოსავლებთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის საერთაშორისო პრინციპები, რომლის დაცვაც ყველა განვითარებული ქვეყნის მოვალეობაა. თუმცა საყურადღებოა, რამდენად კეთილსინდისიერად ხდება შესაბამისი ინსტრუქციების დაცვა სხვადასხვა ქვეყანაში. მნიშვნელოვანია ბანკების როლი კორუფციული სქემების გამოვლენაში, რადგან ე.წ. „ჭუჭყიანი ფულის“ ძირითადი გამტარები სწორედ ბანკები არიან, შესაბამისად გარდა სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა, კომერციული ბანკებიც თავის მხრივ აწესებენ მსგავსი რისკის მქონე ოპერაციებზე კონტროლს. ზოგადად ცნობილია, რომ

ბანკის რეპუტაციისთვის და განვითარებისათვის დამლუპველია მსგავი ტიპის ოპერაციებში მონაწილეობა.

კორუფციულ სქემებთან და ფულის გათეთრებასთან ბრძოლა მსოფლიოში ბანკების პოზიციების გამყარების საშუალებაა. კონტროლის მექანიზმები სახელმწიფოს მხრიდანაც მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და ხდებდეს პროცესებზე მუდმივი დაკვირვება, რათა შესაძლებელი გახდეს მათი ანალიზი და საშიშროების მასშტაბების გამოვლენა.

როგორც ვხედავთ, ნაშრომში წამოწეული საკითხები მეტად აქტუალურია. დღეს მთელს მსოფლიოში დღის წესრიგში მუდმივად დგას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის, საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა (ფულის გათეთრების) და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის, მისი აღკვეთის ხელშეწყობის და განხორციელების ეფექტიანობის შეფასების, ოფშორულ ფინანსურ ცენტრებზე საერთაშორისო კონტროლის განხორციელების პრობლემები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. თემის აქტუალობას ასევე განაპირობებს ის ფაქტი, რომ საჭიროა შემუშავდეს და გაანალიზდეს საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო კონტროლის, მათ შორის ცენტრალური ბანკების და მაკონტროლებელი ორგანოების მხრიდან კონტროლის განხორციელების ძირითადი ტენდენციები და მისი სრულყოფის გზები როგორც მთლიანად მსოფლიოში, ისე კონკრეტულად საქართველოში.

შესაბამისად, საკითხის აქტუალობამ და მზარდმა ინტერესმა მის მიმართ განაპირობა ჩემი მოტივირება აღნიშნული საკითხების ღრმად შესწავლისათვის.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანს წარმოადგენს საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით არსებული გამოცდილების განხილვა და გაანალიზება, აგრეთვე შესაბამისი რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავება, საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო კონტროლის სრულყოფის მექანიზ-



მების და გზების დასახვა.

კვლევის მიზნების მიღწევისათვის ნაშრომში შემდეგი ძირითადი ამოცანებია დასმული და გადაწყვეტილი:

- აღწერილი და გაანალიზებულია მოწინავე ქვეყნების სტრატეგიები ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის და აღკვეთის მიმართულებით და დასაბუთებულია მათი მოწინავე გამოცდილების გათვალისწინების აუცილებლობა;

- გაანალიზებულია საერთაშორისო ანტიტერორისტული და ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სხვადასხვა ორგანიზაციების დებულებები, დოკუმენტები და რეკომენდაციები კომერციული ბანკებისა და ზოგადად ფინანსური სექტორისათვის;

- შესწავლილია საქართველოს საბანკო სისტემის სამოქმედო სტრატეგია და სტანდარტები, შეფასებულია ხარვეზები, შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები პრობლემის აღმოფხვრის კუთხით;

- გაანალიზებულია სახელმწიფო კონტროლის ძლიერი და სუსტი მხარეები რის საფუძველზეც ჩამოყალიბებულია სარეკომენდაციო ხასიათის საკვანძო ელემენტები;

- განხილულია კონკრეტული მაგალითები და სქემები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით და მათი ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია შესაბამისი პრევენციული ზომები;

- ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოკვეთილია ის ხარვეზები, რომლებიც გამოწვეულია ბანკის პერსონალის დატრენინგების პრობლემით და სათანადო ინფორმაციის ნაკლებობით;

- სახელმწიფო მონიტორინგის არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე დასაბუთებულია კონტროლის ინტენსიური განხორციელების საჭიროება და კონტროლირებადი ტრანზაქციების და ლიმიტების გადახედვის აუცილებლობა;

- დასაბუთებულია გადახდის თანამედროვე საშუალებების ტექნოლოგიური განვითარების გამო უკვე დაწესებული და მოქმედი შეზღუდვების გადახედვის აუცილებლობა;

- შეთავაზებულია საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო და საერთაშორისო კონტროლის განხორციელების სრულყოფის გზები და მექანიზმები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსებაში ქართველი და უცხოელი მკვლევარებისა და პრაქტიკოსების ნაშრომები, ადგილობრივი და საერთაშორისო ნორმატიული აქტები და საკანონმდებლო დოკუმენტები.

**კვლევა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს და მეთოდოლოგიებს:** კვლევაში გამოყენებულია დაკვირვების, შედარების, მონაცემთა დამუშავების და ანალიზის, პროგნოზირების, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, აგრეთვე ანკეტური გამოკითხვის, სტატისტიკური ანალიზისა და ინდუქციურ-დედუქციური მეთოდები.

1. **მონაცემთა დამუშავების და ანალიზის მეთოდი** ლიტერატურულ დონეზე გამოყენებულია ნაშრომის პირველ თავში. კვლევის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე გაანალიზებული და დამუშავებულია უცხოური და ქართული სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიკაციები, საგაზეთო სტატიები, პერიოდული გამოცემები, მათი ანალიზის და სინთეზის საშუალებით გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები და გადმოცემულია ძირითდი აზრი საკითხის ირგვლივ.

2. ნაშრომის მეორე თავი ძირითდად აგებულია მოძიებული ინფორმაციის **ინდუქციურ-დედუქციური** დამუშავების მეთოდზე, ამ მეთოდის გამოყენებით გამოყოფილია ის კერძო საკითხები რაც შესაბამისი დასკვნების გასაკეთებლად საჭირო, დამუშავებული მონაცემები მიზეზ-შედეგობრივად და დაკავშირებული ერთმანეთთან და ცალკეული ფაქტების დამუშავების საფუძველზე მიღებულია ის დასკვნები რაც აღწერილია კვლევის მეორე თავში.

3. მესამე თავში გამოყენებულია კვლევის სხვადასვა მეთოდი. ძირითადად, ამ თავის სტრუქტურა ეყრდნობა საკანონმდებლო მონაცემების **ანალიზის** საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებთან მათი **შედარების** და შესაბამისი **პროგნოზების** გაკეთების მეთოდებს. ამავე თავში გამოყენებულ-

ლია ანკეტური გამოკითხვის მეთოდი, მიღებული შედეგების სტატისტიკური და მათემატიკური ანალიზის მეთოდი.

სადისერტაციო ნაშრომი დაფუძნებულია ქართული და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის, ადგილობრივი და უცხოური ლიტერატურის, საუკეთესო საერთაშორისო და ქართული პრაქტიკისა და გამოცდილების ანალიზზე, კონკრეტული მაგალითების შესწავლასა და სინთეზის მეთოდზე. ნაშრომში დასკვნები მიღებულია ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოყენებით და დადგენით. საკვანძო საკითხები გადაწყვეტილია ფაქტების დაჯგუფების და საერთო მახასიათებლებით გაერთიანების საფუძველზე, რის შედეგად ჩამოყალიბებულია ძირითადი საკვლევი მიმართულებები.

ჩვენს მიერ გამოვლენილია ძირითადი საკვლევი საკითხი, რომლის ირგვლივ შერჩეული კითხვების დასმის საფუძველზე (ანკეტური გამოკითხვა) ჩამოყალიბებულია ძირითადი ჰიპოთეზები, გაკეთებულია პროგნოზი, მიღებული შედეგების საფუძველზე დასმულია კვლევის ძირითადი აქცენტები, შემუშავებულია დასკვნები და წინადადებები.

**კვლევის მეცნიერული სიახლე.** საბანკო სისტემის როლის ზრდა და საბანკო პროდუქტების გამარტივებული სისტემების ჩამოყალიბების ტენდენცია კონკურენციის მზარდ პირობებში მიმზიდველს ხდის საბანკო სისტემას არასანქცირებული და არაკონტროლირებადი თანხების გადასაადგილებლად. მიუხედავად საბანკო სისტემის ლოკალური და საერთაშორისო კონტროლის მექანიზმების არსებობისა, კვლავ მზარდია ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკი.

კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) აღკვეთის ხელშეწყობის და კონტროლის არსებული მდგომარეობის სისტემურ შესწავლასა და გაანალიზებაში, სრულყოფის გზებისა და მიმართულებების განსაზღვრაში და საქართველოში მისი გამოყენების დასაბუთებაში. კერძოდ:

- სიღრმისეულად არის განხორციელებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების პროცესის, პრობ-

ლემის გამოვლენა, შესწავლა და ანალიზი ისტორიულ ქრილში და თანამედროვე ეტაპზე;

- დეტალურადაა დამუშავებული და დახასიათებული საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელების საერთაშორისო პრაქტიკა და თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში;

- სისტემურად არის გამოკვლეული და შეფასებული საქართველოს საბანკო სისტემაში არალეგალური შემოსავლების და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, ბანკების თანამშრომელთა გამოკითხვის საფუძველზე გაანალიზებულია არსებული პოლიტიკის ეფექტურობა, თანამშრომელთა კვალიფიკაცია და პასუხისმგებლობის ხარისხი აღნიშნული დარღვევების პრევენციის პროცესში;

- კომპლექსურადაა შესწავლილი საქართველოს და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზა, საერთაშორისო ორგანიზაციების ნორმატიული აქტები და სტანდარტები, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ფინანსურ მოქმედებათა სამუშაო ჯგუფის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის და საქართველოს ეროვნული ბანკის ურთიერთთანამშრომლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) პრევენციის, კონტროლის და აღკვეთის კუთხით;

- სათანადოდ არის შეფასებული და დასაბუთებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) აღკვეთის ხელშეწყობის განხორციელების ეფექტიანობა;

- შემუშავებული სისტემაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და პრევენციისთვის გასატარებელი ზომები და დასაბუთებულია ამ მიმართულებით მუდმივი კვლევების განხორციელებისა და ინოვაციური მეთოდების შემუშავება/დანერგვის აუცილებლობა;

- მკაფიოდაა შესწავლილი და შეფასებული ის რისკები, რომლებმაც საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ოპერაციების არასათანადო კონტროლის გამო შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ ქვეყნის საფინანსო სისტემას, ეკონომიკურ მდგრადობას და საერთაშორისო

იმიჯს;

- ვრცლადაა დახასიათებული საქართველოს საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები;

- გამოვლენილი და რეკომენდირებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფის გზები საქართველოს საბანკო სისტემაში.

**კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა.** კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: ნაშრომში ჩამოყალიბებული დასკვნები და წინადადებები სასურველია გამოყენებულ იქნეს საქართველოს საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა (ფულის გათეთრების) და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის და აღკვეთის ხელშეწყობის, ასევე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) კონტროლის განხორციელების ეფექტიანობის შეფასების მიზნით.

**კვლევის შედეგების აპრობაცია.** ნაშრომის ძირითადი შედეგები ავტორის მიერ აპრობირებულ იქნა მის ძირითადად სამსახურში - ერთ-ერთ კომერციულ ბანკში. ასევე ნაშრომში განხილული საკითხები შესაძლოა გამოყენებულ იქნას საჯარო ლექციებში და პრეზენტაციებში, აღნიშნული აქტუალური საკითხის შესახებ დაინტერესებული პირების და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

**დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი შედგება რეზიუმის (ქართულ და ინგლისურ ენებზე), შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, 3 თავის, 10 ქვეთავის, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან, რაც მთლიანობაში მოიცავს კომპიუტერული წესით ნაბეჭდ 1154 გვერდს

**ნაშრომის ძირითადი შინაარსი**

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

თავი I. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელების სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები

1.1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ისტორიული წინამძღვრები, ძირითადი ელემენტები და სამართლებრივი ბაზა

1.2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზები ოფშორული ფინანსური ცენტრების მეშვეობით

1.3. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების), როგორც ეკონომიკური ურთიერთობების პროცესის დახასიათება, პრობლემის ანალიზი და ეკონომიკური ასპექტები

თავი II. საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი

2.1. საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელების საერთაშორისო პრაქტიკა

2.2. საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში

2.3. საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია და აღკვეთის ხელშეწყობა

თავი III. საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის კონტროლის სრულყოფის გზები საქართველოში

3.1. ოფშორულ ფინანსურ ცენტრებზე საერთაშორისო კონტროლის განხორციელების პრობლემები და ამოცანები

3.2. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის განხორციელების ეფექტიანობის შეფასება

3.3. საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ძირითადი ტენდენციები საქართველოში

3.4. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფის გზები საქართველოს საბანკო სისტემაში დასკვნები და რეკომენდაციები

ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულია ის ძირითადი მასალა საიდანაც მოხდა კვლევის საკვანძო საკითხების ანალიზი და რომელზე დაყრდნობითც მოხდა შესაბამისი დასკვნა-რეკომენდაციების შემუშავება. ლიტერატურა მიმოხილვა შერჩეულია იმის მიხედვით თუ რა საკვანძო საკითხებს პასუხობს ის, კვლევის პრობლემატური საკითხების ირგვლივ. ლიტერატურის მიმოხილვა პასუხობს კითხვებს: საიდან მომდინარეობს პრობლემა, რა ალტერნატივები და ცნობები არსებობს აღნიშნული კვლევის ირგვლივ და რა პრობლემებია გადასაჭრელი.

ნაშრომის პირველი თავი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელების სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები“ მოიცავს შემდეგ პარაგრაფებს: 1.1 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ისტორიული წანამძღვრები, ძირითადი ელემენტები და სამართლებრივი ბაზა; 1.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზები ოფშორული ფინანსური ცენტრების მეშვეობით; 1.3 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების პროცესის დახასიათება, პრობლემის ანალიზი და ეკონომიკური ასპექტები.

ამ თავში ზოგადად განხილულია ფულის გათეთრების ისტორიული წანამძღვრები. განვითარების თითოეულ ეტაპზე არალეგალური შემოსავლების დაკანონების ხერხების დამუშავების ტენდენციები და მათი ევოლუცია. განხილულია ოფშორული ფინანსური ცენტრების მეშვეობით ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების მცდელობები, ქრონოლოგიურად და მათი გავლენა ეკონომიკურ პროცესებზე და ქვეყნების განვითარებაზე. ფულის გათეთრების პროცესი დახასიათებულია ეკონომიკურ ჭრილში და გაანალიზებულია პრობლემის ეკონომიკური ხასიათი.

გაანალიზებულია ფულის გათეთრების ის ძირითადი ფაზები რაც საერთშორისო მასშტაბითაა მიღებული და განხილულია თითოეულ ფაზაში დამნაშავეთ ლავირების ნიშან-თვისებები.

1. „განთავსება“ (Placement) - არის პროცესის საწყისი ეტაპი, არალეგალური შემოსავლები გარკვეულწილად მოპოვებულია გამოძალვის, ქურდობის, ნარკობიზნესის ან ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულის შედეგად. ეს თანხები თავდაპირველად საბანკო სისტემაში უნდა განთავსდეს,

რომ სისტემამ დაიწყოს გათეთრების პროცესი.

თუმცა, განთავსება არ არის მხოლოდ საბანკო ანგარიშებზე ფულის მოძრაობა. თავდაპირველი განთავსება ნიშნავს მხოლოდ ფულადი სახსრების გადაადგილებას ნაღდი სახის ფორმიდან სხვა ფორმაში, რაც ფულის გამთეთრებლებს საშუალებას მისცემს განახორციელოს შემდგომი დაყოფა და ამ თანხის შენიღბვა.

**2. „დიფერენცირება“** (დაყოფა, Layering) - მას შემდეგ, რაც ფულადი სახსრები თავდაპირველად განთავსდება, ფულის გათეთრების სისტემა იწყებს დანაწევრების პროცესს. მარტივი სქემით ამ ფაზაში ხდება არალეგალური აქტივის დანაწევრება და იმავე ფორმის ლეგალურ აქტივებთან შერწყმა. უფრო რთულ სქემებში კი ფულის გამთეთრებლები ცდილობენ თანხების გადანაწილებას სხვადასხვა იურისდიქციებში და სხვადასხვა კომპანიების მეშვეობით ახდენენ თანხის გადატანას, რათა დაქსელვის მეთოდით გაართულონ შენიღბვის პროცესი.

**3. „ინტეგრაცია“** (Integration) - ინტეგრაცია ფულის გათეთრების პროცესის საბოლოო ეტაპია. ეს ის ეტაპია, სადაც უკანონო შემოსავალი ხელახლა ინტეგრირებულია ლეგალურ ფინანსურ სისტემაში, რათა მოხდეს სისტემაში სხვა აქტივების ათვისება, სადაც შენიღბული დანაშაულებრივი მოგება შეიძლება დაბრუნდეს და გამოყენებულ იქნეს ფულის გამთეთრებლის მიერ ახლა უკვე როგორც ლეგალური სახსრები.

ამ ფაზაში ფულის გამთეთრებლების მიზანი, ჩაუშვას „გაწმენდილი“ ფული ლეგალურ ეკონომიკაში მისი შემდგომი გამოყენებისთვის, შესრულებულია. ამ ფაზაში ლეგალური და არალეგალური რესურსების ერთმანეთისგან გამიჯვნა თითქმის შეუძლებელია.

განხილულია ოფშორული იურისდიქციების საშეღავათო პირობები ბიზნესისთვის და რა ფორმით და მასშტაბით შეიძლება იყოს ჩართული ოფშორული ცენტრები ფულის გათეთრებისას სხვადასხვა ფაზაში.

დღეს ბევრი ითქმის ოფშორული ზონების საქმიანობის მკაცრი მონიტორინგის შემოღებაზე, მათ აკრძალვაზე. პრობლემა ისაა, რომ წარმატებული ბიზნესი სულ უფრო შეუძლებელი ხდება კრიმინალური



პრაქტიკების, ფარული პროტექციის და კორუფციის გარეშე. გადავავლოთ თვალი მსოფლიოს ბიზნეს-ქრონიკას და ამაში დავრწმუნდებით. ოფშორულ ზონებს ხშირად მიმართავენ იმ ქვეყნების კომპანიები და ბიზნესმენები, სადაც საგადასახადო სისტემა არ ვარგა, ბიზნესი კანონით არაა დაცული, დიდი კორუფციაა, არსებობს ბიუროკრატიული ზეწოლისა და ბიზნესის წართმევის დიდი შესაძლებლობა. მსოფლიოში ამდენი სამთავრობო და არასამთავრობო მაკონტროლებელი ორგანოა და დიდი ბიზნესი მაინც კორუმპირებულია.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თანდათანობით ყალიბდება და ძლიერდება „ანტიოფშორული“ კანონმდებლობა, ვინაიდან ოფშორული მექანიზმების ფართოდ გამოყენების შედეგად განვითარებული სამრეწველო ქვეყნები კარგავენ მრავალმილიონიან შემოსავლებს. ყველა ეს თანხა თავს იყრის ოფშორულ ცენტრებში, შემდეგ კი ბრუნდება სამშობლოში უცხოური ინვესტიციის სახით, საგადასახადო და სხვა შეღავათების მოთხოვნის პირობით.

როგორც ფაქტები ადასტურებენ, თანამედროვე მსოფლიოს ზეწოლამ ოფშორულ ბიზნესზე გარკვეული, გარკვეული სასურველი შედეგები გამოიღო. კერძოდ, ბაჰამის კუნძულების შეცვლილ კანონმდებლობაში ერთ-ერთი მუხლი ასე ჟღერს: „კომპანია ვალდებულია, სარეგისტრაციო აგენტებს მიაწოდოს ინფორმაცია კუნძულზე მოქმედი კომპანიის მფლობელისა და საქმიანობის შესახებ“.

მიუხედავად ყველაფრისა, თანამედროვე მსოფლიოს დამოკიდებულება ოფშორული ბიზნესის მიმართ მეტად არაერთგვაროვანია. არაერთგვაროვნება თავს იჩენს როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა შორის, ასევე ქვეყნებს შიგნით არსებულ შიდა პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის.

კვლევის მეორე თავი „საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა (ფულის გათეთრების) და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი“ მოიცავს: 2.1 საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის განხორცი-

ელეზის საერთაშორისო პრაქტიკა; 2.2 საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში; 2.3 საბანკო სისტემაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია და აღკვეთის ხელშეწყობა.

ამ თავში გაანალიზებულია უკანონო შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკა, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და ფუნქციები ქვეყნების ანტიტერორისტული და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პროგრამების შემუშავებაში. დაწვრილებითაა აღწერილი კერძო საბანკო პოლიტიკის მნიშვნელობა და საქართველოს საბანკო სისტემის ჩართულობა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

შეჯერებულია „The Financial Action Task Force (FATF)” – ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის რეკომენდაციების ანალიზი სხვადასხვა ჭრილში.

**FATF-ის რეკომენდაციების მოკლე ანალიზი ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით:**

➤ ტერორიზმის დაფინანსება - ტერორიზმის დაფინანსების შესახებ კონვენციის საფუძველზე, ტერორიზმის დაფინანსება არის კრიმინალური დანაშაული. ტერორიზმის დაფინანსება განმარტებულია, როგორც წინასწარ განზრახული დანაშაული. ესაა სისტემა, სადაც თავს იყრის არალეგალურად მოპოვებული თანხების დიდი ნაწილი.

➤ ფინანსური სანქციები - ქვეყნებმა ტერორიზმის დაფინანსების ეჭვის არსებობის შემთხვევაში უნდა უზრუნველყონ ფინანსური სახსრების და სხვა აქტივების გაყინვა, რათა არ მოხდეს პირდაპირ ან ირიბად მათი გამოყენება ტერორიზმის ხელშეწყობისთვის.

FATF -ის რეკომენდაცია ტერორიზმის დაფინანსების შესახებ, ქვეყნებისთვის არაა სავალდებულო, მისი გათვალისწინება ნებაყოფლობითია.

თუ კანონმდებლობა სწორად არაა ჩამოყალიბებული, დანაშაულის აღკვეთის მიზნით სანქციების გატარება არაეფექტურია. მაგალითად, საბანკო სისტემისთვის გარკვეული რეპუტაციული რისკის შემცველია

მომხმარებელთ საბანკო ანგარიშების გაყინვა. ბანკები თავს იკავებენ მსგავსი სანქციებისგან მანამ, სანამ ხელთ არ ექნებათ იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, სასამართლო გადაწყვეტილება, რომ კლიენტის ანგარიშები უნდა გაიყინოს. ეს პროცესი კი დროში გაწელილია და ამ პერიოდის განმავლობაში შეიძლება თანხები თავისუფლად გადაადგილდეს. ბანკების პოზიციაც გასაგებია, რადგან თუ ეჭვი უსაფუძვლო და არასწორი აღმოჩნდა, დიდია რისკი კლიენტისგან საჩივრის მიღების და რეპუტაციული ან ფინანსური დანაკარგის მიღების.

ამ რეკომენდაციის მიზანი სწორედ კომპლექსური და დროში ეფექტური მიდგომის ჩამოყალიბებაა საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ დონეზე. პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, რეკომენდაციის მიზანია მოუწოდოს სახელმწიფოებს უზრუნველყონ საფინანსო, სადაზვერვო და სამართალდამცავ ორგანოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთკავშირი.

**FATF-ის რეკომენდაციების ანალიზი ფინანსურ ინსტიტუტებთან დაკავშირებით:**

➤ ფინანსური ინსტიტუტის ინფორმაციის საიდუმლოების კანონი - ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ფინანსური ინსტიტუტის ინფორმაციის კონფიდენციალობის კანონი არ უწყობდეს ხელს არალეგალური შემოსავლისა და ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების შესახებ ინფორმაციის დაფარვას.

➤ კლიენტის სათანადო შემოწმება - ფინანსურ ინსტიტუტებს ეკრძალებათ ანონიმური ანგარიშების გახსნა, მათ მოეთხოვებათ მომხმარებლებზე სათანადო ინფორმაციის შეგროვება და კონტროლი.

➤ ჩანაწერების შენახვა - ფინანსურ ინსტიტუტს ფინანსური ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაცია შენახული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 წლისა, რათა ეფექტიანად შესრულდეს საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის მოძიება.

➤ პოლიტიკურად აქტიური პირები - მეტი გამჭვირვალობისთვის და რისკის თავიდან ასაცილებლად უნდა განისაზღვროს პირის პოლი-

ტიკური სტატუსი, რათა ფინანსური ინსტიტუტი დარწმუნდეს, რომ მას არ ექნება რაიმე სახის პრივილეგია.

➤ საკორესპონდენტო ურთიერთობები - კორესპონდენტი ბანკები უნდა შეირჩეს მათი გამჭვირვალობის და რეპუტაციის მიხედვით. უნდა შეფასდეს მათი AML / CFT-ის კონტროლი, იყო თუ არა ფულის გათეთრებაში ან ტერორიზმის დაფინანსებაში ჩართული.

➤ ფულადი გზავნილების სერვისი (MVT) - აუცილებელია ფულადი გზავნილების განმახორციელებელი სუბიექტების ლიცენზირება და მათი უფლებების შემოწმება. ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ მათი აღრიცხვა-ლიცენზირების კონტროლი.

➤ ახალი ტექნოლოგიები - მუდმივად უნდა განვითარდეს თავდაცვითი მექანიზმები, განსაკუთრებით ახალი მომსახურების ან პროდუქტის შექმნისას. რისკების შეფასება და სათანადო კონტროლის მექანიზმების შემუშავება უნდა მოხდეს ახალი პროდუქტის დანერგვამდე.

➤ დაკავშირებული გადარიცხვები - ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ მონიტორინგი ფინანსურ ინსტიტუტებზე, ფლობენ თუ არა ისინი სათანადო ინფორმაციას გადარიცხვებთან დაკავშირებით, იდენტიფიცირებულია თუ არა კლიენტთა მონაცემები. უნდა გამოირიცხოს არალეგალური დანიშნულებით თანხების ბრუნვის შესაძლებლობა, დანაშაულებრივი გარიგებების უზრუნველსაყოფად თანხების გადარიცხვა და მსგავსი.

➤ მესამე მხარის დამოკიდებულება - ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტებს შეუძლიათ დაეყრდნონ მესამე მხარის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას. მაგრამ მესამე მხარის შერჩევასა და მის ადეკვატურობაზე მთლიანად ფინანსური ინსტიტუტია პასუხისმგებელი.

➤ შიდა კონტროლი, უცხოური და შვილობილი კომპანიები - AML / CFT მიზნებისათვის საჭიროა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ჯგუფური პროგრამების განხორციელება, მათ შორის პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის გაზიარება უცხოური ფილიალებისა და შვილობილი კომპანიებისთვის. AML / CFT პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის შიდა მოთხოვნებს და FATF რეკომენდაციებს.

➤ მაღალი რისკის მქონე ქვეყნები - ფინანსურ დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაციის გადამოწმების ბერკეტი და საერთაშორისო რეკომენდაციების მიხედვით უნდა ამოწმებდნენ საექვო ქვეყნებიდან შემომავალ ან ამ ქვეყნებში გამავალ ტრანზაქციებს.

➤ საექვო გარიგებების აღრიცხვა - თუ ფინანსურ ინსტიტუტს აქვს გონივრული საფუძველი, ექვემ დააყენოს ფინანსური სახსრების წარმომავლობა და ფიქრობს, რომ ადგილი აქვს ტერორიზმის დაფინანსებას ან ფულის გათეთრებას, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ფინანსური დაზვერვის სამსახურს (FIU).

➤ კონფიდენციალობა - ფინანსური ინსტიტუტები, მათი დირექტორები, ოფიცრები და თანამშრომლები უნდა იყვნენ დაცული სისხლის სამართლის ან სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან, იმ შემთხვევაში, თუ მოხდა მათგან კონტროლისათვის საჭირო ინფორმაციის გამჟღავნება კანონის ფარგლებში და კანონით განსაზღვრული ორგანოებისთვის, მიუხედავად იმისა, რეალური იყო თუ არა მათ ექვი დანაშაულებრივი საქმიანობის მიმართ. აკრძალულია ინფორმაციის გაცემა იმის შესახებ, რომ საექვო ტრანზაქცია შეტანილია საექვო გარიგებათა ანგარიშში (SAR) და გადაგზავნილია ფინანსური დაზვერვის სამსახურში (FIU).

### **ფულის გათეთრების ტექნიკა**

FATF-ის მიერ გამოკვეთილია ფულის გათეთრების სამი, ძირითადი მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხდება თანხის წარმომავლობის შენიღბვა და მისი ფორმალურ ეკონომიკაში ინტეგრირება. ეს მეთოდები მოიცავს:

განხილულია ფულის გათეთრების ყველაზე გავრცელებული მეთოდები:

- ვაჭრობაზე დაფუძნებული ფულის გათეთრება;
- ფულის გათეთრების სინდიკატები;
- ნაღდი ფულის გათეთრება;
- ახალი გადახდის მეთოდები;
- დოკუმენტის გაყალბება;
- ონლაინ ვაჭრობა უკანონო საქონლითა და მომსახურებით.

დღევანდელი მდგომარეობით, მონიტორინგს ექვემდებარება პირის მიერ შესრულებული საბანკო ოპერაცია, ან დადებული გარიგება, ან/და საბანკო ოპერაციის (გარიგების) დანაწევრების მიზნით შესრულებული საბანკო ოპერაციების (გარიგებების) ერთობლიობა, თუ არსებობს ერთ-ერთი ან ორივე შემდეგი პირობა:

1. საბანკო ოპერაცია (გარიგება) საექვოა მიუხედავად მისი თანხის ოდენობისა;

2. პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ან/და მისი დანაწევრების მიზნით დადებულ ან შესრულებულ გარიგებათა ერთობლიობა, თუ გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის თანხა აღემატება 30 000 ლარს (ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში) და ამავე დროს იგი თავისი შინაარსით არის შემდეგი გარიგება (ოპერაცია):

- თანხის მიღება წარმომდგენზე საბანკო ჩეკით;
- უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა ბანკნოტების საშუალებით;
- საყურადღებო ან საექვო ზონაში მოქმედი ან რეგისტრირებული ბანკის საბანკო ანგარიშიდან მფლობელის მიერ თანხის გადმორიცხვა საქართველოში არსებულ საბანკო ანგარიშზე ან თანხის გადარიცხვა საქართველოდან ასეთ ზონაში მოქმედ ან რეგისტრირებულ ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშზე;

- საყურადღებო ან საექვო ზონაში რეგისტრირებული პირის (მათ შორის, ასეთი იურიდიული პირის საქართველოში რეგისტრირებული ფილიალის) მიერ სესხის გაცემა ან მიღება ან/და ასეთი პირის მიერ საქართველოში არსებული საბანკო დაწესებულების მეშვეობით განხორციელებული ნებისმიერი სხვა გარიგება (ოპერაცია);

- სხვა სახელმწიფოში ანონიმური პირის საბანკო ანგარიშზე თანხის საქართველოდან გადარიცხვა ან ანონიმური პირის სხვა სახელმწიფოში არსებული საბანკო ანგარიშიდან თანხის საქართველოში გადმორიცხვა;

- საწარმოს (საზოგადოების) კაპიტალში ფულადი სახსრების შეტანა (როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ფორმით), გარდა „ფასიანი ქაღალ-

დების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშვალდებული საწარმოს აქციების შეძენისა;

➤ ფიზიკური პირის (არამეწარმე სუბიექტის) მიერ ნაღდი ფულადი ფორმით შეტანილი თანხის გადარიცხვა (გარდა ბიუჯეტში თანხების ჩარიცხვისა და საქართველოს ფარგლებში მის საკუთარ ანგარიშებს შორის თანხის გადარიცხვისა); აღნიშნული გარიგების ქვეშ იგულისხმება როგორც ანგარიშიდან, ასევე ანგარიშის გაუხსნელად შესრულებული ოპერაცია;

➤ სესხის გაცემა წარმომდგენზე ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფით;

➤ იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (გარდა კომერციული ბანკისა და სახელმწიფოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირისა) რეგისტრაციიდან (გარდა პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ცვლილების რეგისტრაციისა) 90 კალენდარულ დღეში თანხის მის საბანკო ანგარიშზე განთავსება (როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ფორმით) ან ამ ანგარიშიდან გადარიცხვა (გარდა ერთ საბანკო დაწესებულებაში საკუთარ საბანკო ანგარიშებზე შესრულებული ოპერაციებისა);

➤ გრანტის (გარდა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან გაცემული გრანტისა) ან საქველმოქმედო დახმარების თანხის ანგარიშზე განთავსება (როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ფორმით) ან ანგარიშიდან გადარიცხვა;

➤ საექვო ფინანსური ინსტიტუტის მონაწილეობით განხორციელებული გარიგება (ოპერაცია).

მონიტორინგს ექვემდებარება აგრეთვე საექვო გარიგების დადების ან საბანკო ოპერაციის შესრულების მცდელობა ან/და სხვა ფაქტი (გარემოება), რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას ან ტერორიზმის დაფინანსებას.

ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უჩვეულო გარიგებებსა,

რომლებსაც არ აქვს აშკარა ეკონომიკური (კომერციული) შინაარსი და აშკარა კანონიერი მიზანი, გონივრული შესაძლებლობის ფარგლებში შეისწავლის ასეთი გარიგებების დადების მიზანსა და საფუძველს და წერილობით აფიქსირებს მიღებულ შედეგებს.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების მაღალი რისკის გამოვლენის შემთხვევაში, ბანკი ახორციელებს სათანადო შემოწმების პროცედურებს. ასეთ შემთხვევაში უნდა გაძლიერდეს საქმიანი ურთიერთობების მონიტორინგი, რათა დადგინდეს, გარიგება (ოპერაცია) უჩვეულო გარიგებაა თუ საეჭვო გარიგება.

თუ ბანკს გაუჩნდა ეჭვი საიდენტიფიკაციო მონაცემების უტყუარობაში ან, მცდელობის მიუხედავად, კლიენტის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება ან თუ გარიგება ექვემდებარება მონიტორინგს, ბანკი ვალდებულია ამის შესახებ ანგარიშგების ფორმა მიაწოდოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის ცნობის მიწოდება გულისხმობს, ბანკის მიერ გარიგების შესახებ ანგარიშგების შესაბამისი ფორმის შევსებას, გაგზავნას და სამსახურის მიერ მისი მიღების დადასტურებას.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენილი ცნობები უნდა იყოს შევსებული საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებპორტალის გამოყენებით. ბანკის მიერ ანგარიშგების ფორმის შევსება და გაგზავნა ხდება საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებული „მომხმარებლის სახელმძღვანელოს“ მიხედვით.

დისერტაციის მესამე თავი კი ძირითადად მოიცავს კვლევით კომპონენტს და საბანკო სექტორზე დაკვირვების და შესაბამისი ანკეტური გამოკითხვების საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს. ასევე გაანალიზებულია და შეფასებულია უკანონო შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა და მისი ხარვეზები.

**ტერორიზმის დაფინანსებასთან (FT) დაკავშირებული საფრთხეები:**



➤ ტერორისტული დაჯგუფებები/ტერორისტები, ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობა;

➤ ქვეყნის შიგნით უკანონო ან კანონიერი გზით შეძენილი აქტივებიდან მიღებული შემოსავლები;

➤ ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროებიდან სახსრების ტრანსნაციონალური (საერთაშორისო) შემოდინება.

**სუსტი მხარეები:** ML/FT სისუსტე განპირობებულია პროდუქტის, სერვისების, განაწილების არხების, კლიენტების ბაზის, ინსტიტუციების, სისტემების ან იურისდიქციების გარკვეული მახასიათებლებით (intrinsic property) (მათ შორის სისტემების, კონტროლის ან ზომების არაეფექტურობა), რაც ხელს უწყობს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების რისკების არსებობას.

ჩამოვთვალოთ სამი ძირითადი კატეგორია, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ სუსტ მხარეებზე:

➤ მახასიათებლები (intrinsic property): არ იცვლება კონტროლის მექანიზმების შედეგად (მაგ. გეოგრაფიული მდებარეობა, ეკონომიკის მოცულობა, ვალუტა, პროდუქტებისა და სერვისების ზოგადი ასპექტები).

➤ ზოგადი კონტროლი და შემასუსტებელი მხარეები: AML/CFT კონტროლის არარსებობა (მაგ. AML ზედამხედველობის არარსებობა, საგადასახადო შემოწმება, რეესტრი, იურიდიული პირების გამჭვირვალობა და სხვ.)

➤ AML/CFT კონტროლის მექანიზმები: CDD (Customer Due Diligence) /KYC (Know Your Customer), ანგარიშგების მოთხოვნები და სხვა.

**შედეგები:** შედეგში იგულისხმება ის ზემოქმედება ან ზიანი, რისი გამოწვევაც ML-ს ან TF-ს შეუძლია. აქ ასევე იგულისხმება დანაშაულებრივი ან ტერორისტული საქმიანობის შედეგად ფინანსური სისტემებისა და ინსტიტუტებისთვის, ასევე, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი.

**კერძო სექტორის ჩართულობა:**

➤ FATF-ის რეკომენდაციის შესაბამისად, ეროვნულ დონეზე

არსებული ML/TF რისკების შეფასების დროს სრულყოფილი სურათის მისაღებად კერძო სექტორის ჩართულობა შეიძლება მთელი რიგი გარემოებების გამო გახდეს მიზანშეწონილი (ინფორმაციის წყარო და საბოლოო მომხმარებელი);

➤ გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ კერძო სექტორს შეიძლება საკუთარი კომერციული ინტერესები გააჩნდეს, რის გამოც მათ მიერ ML/TF რისკების შეფასება არ იყოს მიუკერძოებელი;

➤ შესაბამისად, კერძო სექტორი ძირითადად ჩართული უნდა იყოს კვლევების, კითხვარების შევსებისა და ინტერვიუების ფორმატში. NRA-ს სამუშაო ჯგუფის მიერ შესაძლებელია მუშაობის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე კერძო სექტორის წარმომადგენლების მოწვევა (მაგ. სექტორული ასოციაციები, როგორცაა ბანკების ან ადვოკატთა ასოციაცია), რათა მათ თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ პროცესში ad-hoc ან საჭიროების შესაბამისად.

#### **საფრთხეების ანალიზი:**

##### **1. ქვეყნის დონეზე**

➤ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების შემადგენლობა და მოცულობა (შიდა და გარე);

➤ ტერორიზმის შემთხვევები - „მიძინებული“ ტერორისტული ორგანიზაციების არსებობა;

➤ ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული სახსრების მოძრაობა (სახსრების მოძიება და მათი შიდა ტერორიზმისათვის ხელმისაწვდომობა; სახსრების ქვეყანაში მოძიება და მათი უცხოური ტერორიზმისათვის ხელმისაწვდომობა).

##### **2. სექტორების დონეზე**

➤ სხვადასხვა სექტორებისთვის დამახასიათებელი ML/TF-ის ტიპოლოგია.

#### **სუსტი მხარეების ანალიზი:**

➤ ქვეყნის დონეზე - სექტორულ დონეზე (პროდუქტებისა და სერვისების სპეციფიკური ანალიზი);

- მთლიანი/კონკრეტული სისუსტეები (შემარბილებელი ფაქტორებისა და AML/CFT კონტროლის მექანიზმების გათვალისწინებით);
- საერთო რისკების იდენტიფიცირება;
- სექტორების მიხედვით (საბანკო, სადაზღვევო, ფინანსური, ადვოკატები, სამორინეები);
- კონკრეტულ პროდუქტები და სერვისები (მიმდინარე ანგარიშები, სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული პროდუქტები, ობლიგაციები და ფასიანი ქაღალდები, სამორინეების მიერ შეთავაზებული მომსახურეობა, ადვოკატების მიერ შეთავაზებული მომსახურეობა და სხვა).

### **დასკვნები და რეკომენდაციები**

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება:

1. დღევანდელ დღეს ფულის გათეთრების მასშტაბები მეტად ფართოა. გარდა ამისა, გაანალიზებული მონაცემები ადასტურებს, რომ ფულის გათეთრება არსებობს სხვადასხვა ფორმით სხვადასხვა ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ფულის გათეთრების საკითხის ევოლუციის პროცესიც ძალიან სწრაფად მიმდინარეობს.

2. ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა და სწორად შემუშავებული საკანონმდებლო ბაზა არის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გარანტია. გარდა ფინანსური სტაბილურობისა, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობა უზრუნველყოფს ქვეყნის მშვიდობიან მომავალს, სწორად შერჩეული პრევენციული პოლიტიკა გარკვეულწილად გამორიცხავს ქვეყნების გამოყენებას ტერორისტული აქტების დაფინანსების კუთხით. ასევე ამცირებს საგადასახადო დანაკარგებს და უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებას.

3. უკანონო შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის ამოსავალი პრონციპია ქვეყნების მზაობა შექმნან კომბინირებული სახელმწიფო და კერძო სისტემათა პრევენდენტი, რომ მარტივად მოხდეს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, როგორც საჯარო სექტორისთვის, ისე ბიზნესისთვის.

საქართველომ გაითვალისწინა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები და დაწყებულია პროცესი ინფორმაციის თავისუფალი მიმოცვლის უზრუნველყოფის კუთხით, ისე რომ არ დაირღვეს ინფორმაციის დაცულობის და არასანქცირებულად გამოყენების სტანდარტი.

4. საქართველოს საბანკო სისტემა კონტროლდება არა მხოლოდ შიდა მონიტორინგით, არამედ საერთაშორისო ბაზრის წესებით და სტანდარტებით, ვინაიდან ორმხრივი საბანკო ურთიერთობების დროს, თითოეული მხარე ვალდებულია იღებს დაიცვას საერთაშორისო სტანდარტი და ამ კუთხით საქართველოს ბაზარზე მოქმედი ყველა მსხვილი ბანკი შეძლებისდაგვარად ასრულებს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის საერთაშორისო მოთხოვნებს.

5. ტექნოლოგიური განვითარება და კონკურენციის მაღალი სტანდარტი საბანკო სისტემასაც რთულ მდგომარეობაში აყენებს ფულის გათეთრების კუთხით, ვინაიდან ინოვაციური პროდუქტების გამოყენება ფულის გათეთრების პროცესში საკმაოდ ხშირია, მითუმეტეს, რომ კომერციული სუბიექტები ცდილობენ კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნონ და მანამ, სანამ აამუშავებენ დაცვის მექანიზმს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ახალი პროდუქტისთვის, პროდუქტი უკვე მიეწოდება მომხმარებელს. რაც დამნაშავეებისთვის სასურველი სიგნალის მიცემას ნიშნავს.

6. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და თითქმის უკონტროლო სისტემაა ონლაინ გადახდები და ტერმინალები, სადაც ყველაზე კარგად ფულის გათეთრების ციკლის ფინანსური რესურსის დანაწილების ფაზაში ოპერირებენ თაღლითები, ვინაიდან მცირე შენატანები და გადახდები, რომელიც ლიმიტს არ სცდება, როგორც წესი მონიტორინგის მიღმა დარჩენილი, თუ არ არსებობს რაიმე კონკრეტული და საფუძვლიანი ეჭვი.

7. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ საბანკო სექტორის თანამშრომელთა დიდი უმეტესობა, რომელიც უშუალოდ კლიენტს ემსახურება, არასაკმარისადაა ინფორმირებული ფულის გათეთრების სქემებისა და შესაძლებლობების კუთხით, რაც გამოწვეულია ან თვითონ თანამშრომლის უპასუხისმგებლო და გულგრილი დამოკიდებულებით საკითხის

მიმართ, ან ბანკის შესაბამისი უწყების სუსტი პრევენციული პოლიტიკით, პოლიტიკისა, რომლის თანახმად აქტიურად უნდა ხდებოდეს თანამშრომლების დატრენინგება დანაშაულის საწყის ეტაპზე გამოკვეთის მიზნით.

8. საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მონიტორინგის პრობლემა არსებობს საბანკო სექტორში, ვგულისხობთ აუდიტორულ მონიტორინგს, ვინაიდან საზედამხედველო ორგანო იყენებს შერჩევითობის პრინციპს აუდიტისთვის, ბანკებს საშუალება ეძლევათ გარკვეული დროით დაფარონ მათი შესაძლო უკანონო საქმიანობა, ხოლო მარეგულირებელს ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ ურთულდება პრობლემის გამოძიება და ეს პროცესი შეიძლება შეუძლებელიც გახდეს.

9. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვალიფიციური კადრების მომზადებას როგორც შიდასაბანკო, ისე მარეგულირებელ ორგანოებში, რომელთაც შეწევთ უნარი მათ წინაშე დასმული საკითხების კომპეტენტური გადაწყვეტის.

10. არალეგალური შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის ლეგალიზაციის მარეგულირებელი მოთხოვნების შესასრულებლად საანგარიშო სუბიექტებს (სახელმწიფო უწყებებს, ბანკებს, საფინანსო, სადაზღვევო ინსტიტუტებს) უნდა ჰქონდეთ დამატებითი სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის წარმოების და მიწოდების ადეკვატურობას და სისწრაფეს, რადგან დროითი ფაქტორი ფულის გათეთრების პროცესზე გადამწყვეტად მოქმედებს.

11. საექვო გარიგებების ანგარიშის - STR (Suspicious Transaction Reporting) - წარმოებისას მონიტორინგის განმახორციელებელმა სუბიექტებმა უნდა მოახდინონ სფეროების დივერსიფიცირება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების უფრო მეტად დაუცველი სფეროების მიხედვით, რაც გააიოლებს შემდგომში დაკვირვების პროცესს.

12. მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს STR (Suspicious Transaction Reporting) - ანგარიშის მომზადებისას მომხმარებელთა საიმედო და გადამოწმებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა.

13. მნიშვნელოვანია გაიზარდოს KYC (Know Your Customer) კითხვარის გადამოწმებისა და ამ კითხვარით მოპოვებული მონაცემების ვერიფიკაციის ხარისხი. გადამწვევტად მნიშვნელოვანია კითხვარით ზეპირსიტყვიერად მიღებული ინფორმაცია დადასტურებულ იქნეს სანდო წყაროების მეშვეობით, არალეგალური შემთხვევის დადგომისას თავი ავირიდოთ ცრუ ინფორმაციის არსებობის ალბათობისგან და ისევ დროის და რესურსის ფლანგვამდე არ მივიდეთ.

14. სახელმწიფოს საზედამხედველო ინსტიტუტების ჩართულობა და ლიმიტირებული ტრანზაქციების გადახედა ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ უნდა შეიცვალოს, ვინაიდან ვითარდება ონლაინ ან აპარატული გადახდის მეთოდები, მნიშვნელოვანია კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ტექნოლოგიურ წინსვლასთან.

15. სახელმწიფო საზედამხედველო პოლიტიკით გათვალისწინებული უნდა იქნეს სანქციები და პროექტზე ინფორმაციის მიწოდების წესები საზედამხედველო ორგანოებისთვის, ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვამდე მათი სავარაუდო რისკის შემოწმებაზე, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით. იგულისხმება ქეისები, როცა ჯერ პროდუქტი ეშვება მოხმარებაში და მერე ხდება მისი რისკის განსაზღვრა და დაცვის მექანიზმებზე მუშაობა.

16. მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების ზედმიწევნით განალიზება და მისი ქართულ რეალობაზე მორგება. საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე უნდა მოხდეს ქართულ რეალობაზე მორგებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფილი ამუშავება და შედეგების მიხედვით მისი მუდმივი სრულყოფა.

## ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე ორივე კოლოკვიუმის თემატური საკითხები დაცულ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში.

კოლოკვიუმი 1 – თემის სტრუქტურა და სამუშაო გეგმა

კოლოკვიუმი 2 –უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელების სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები.

## სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია

### პუბლიკაციებში:

#### სტატიები:

1. „საბანკო სექტორის ჩართულობა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში“, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ , თბილისი, 2018, გვ. 152-154
2. „საბანკო პოლიტიკის - „იცნობდე შენს კლიენტს“ მნიშვნელობა“. ჟურნალი „ეკონომიკა“,1-2/2019, გვ.86-90
3. „საქართველოში მომხმარებელთა ინფორმირებულობის დონე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საკითხებში“, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 1-2/2019, გვ. 63-65

#### სამეცნიერო კონფერენციები:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“; თემაზე - „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია ადკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, 19-20/05/2017.
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“; თემაზე - „კრიპტოვალუტა, როგორც ფულის გათეთრების სამუალება“ 25-26/05/2018.

3. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის - სეუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თემაზე - „ოფშორული ზონების მნიშვნელობის შესახებ“ . 23-24/06/2017.